№ 60. 20 მარტი, კვირა. 1866—1883 20 მარტი, კვირა. № 60.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა
მიიღება ტფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:
მთელის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთი თვისა . . . 1 მან.

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით, ასოზე [illegible] ლით ასოზე ნახევარი კაპეიკი, [illegible] სტრიქონზე რვა კაპეიკი.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

არწრუნის თეატრი.

დღეს, 20 მარტს

ქართული დრამატიული დასისაგან, გამართული იქმნება ქართული

ლიტერატურული

## საღამო

ცოცხალი სურათებით.

I

1) „აპელაციის მცოდნე“, ლექსი თ. აკ. წერეთლისა იმღერებს ვ. ალექსეევ-მესხიევი.

2) „არის ადგილი“, ლექსი თ. ვ. ვ. ორბელიანისა, წაიკითხავს კ. ყიფიანი.

3) ქართულ სიმღერებს იმღერებს ნ. გაბუნია-ცაგარელისა.

4) ქართულ სცენებს წაიკითხავს კ. მესხი.

II

1) „კურდღელი“, ხალხური სიმღერა, იმღ. ხორო.

2) ქართულ სცენებს, წაიკითხავს თ. ნ. ჯორჯაძე.

3) ქართულ სიმღერას, იმღერებს ნ. გაბუნია-ცაგარელისა.

4) „პატიმარი“, რომანსი, თარგმანი თ. მ. ა. ბებუთოვისა, იმღერებს ვ. ალექსეევ-მესხიევი.

III

„უჩადის ცხოვრება“

პოემა თ. ი. ვ. ჭავჭავაძისა.

უჩადი კაკო . . . კ. ყიფიანი.
ზაქარია, მხედარი . . კ. მესხი.

IV

ცოცხალი სურათები.

„ანგელოზი“, ლერმონტოვისა.
„შურის ძიება“.
„განდეგილი“, ი. ჭავჭავაძ. პოემიდამ.

საღამოს გამგებელი კ. ყიფიანი.

### ქალაქის რჩევას...

ტფილისი, 19 მარტს.

დიდი საქმეა ქალაქისთვის „კონკის“ გამართვა, რომელიც ვერიდამ მუშტაიდამდის ორ შაურად გაიყვანს ტფილისის მოსახლეობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გზის გაყვანას ისეთი ცუდი შედეგი მოჰყვა, რომელიც, თუ როგორმე დროზე არ გასწორდა ბევრს ზიანს მოუტანს ქალაქელებს.

უმთავრესი ნაკლულევანება ამ გზისა ის არის, რომ მთელს ხაზზე, პუკის ხიდიდამ დაწყებული მუშტაიდამდის, რელსები ძლიერ მაღლა არიან ამოწეულნი ქუჩის ზედა-პირიდამ. ამ გარემოების გამო, როდესაც ეკიპაჟი მიდის ამ გზის გასწვრივ (ორ-ფად დაწყობილ რელსებს მთელი შუა ადგილი უჭირავს ქუჩისა) კუჩერს არ შეუძლია ადვილად გზის გადახვევა, რადგანაც ეკიპაჟების ბორბლები მიეკრებიან რელსებს და იმას მისდევენ რამდენიმე საჟენის სიგრძეზე. შეცრივ გზის გადახვევა შეუძლებელია მისთვის და ისიც, როცა ბორბალი გადაახტება ამ რელსებს ისეთ ნაირად აგდებს ეკიპაჟში მსხდომ პირთა, რომ გუშინ წინ ერთი ყმაწვილი ჩამოუგდია თურმე „კოზლიდამ“, რომელიც რაღაც ბედად გადარჩომია სიკვდილს. ამგვარი შემთხვევა, როგორც ამბობენ, ძლიერ ხშირია. ამასთან ის ცუდი შედეგიც მოსდევს ამ რელსების სიმაღლეს, რომ ერთ-ორ თვეზე ქალაქში ცხენებს ფეხები არ შერჩებათ.

მეორე ნაკლულევანება ამ გზისა ის არის რომ ვიწრო ქუჩებში ძლიერ გაძნელდა მოძრაობა მას აქეთ, რაც ამ ქუჩებით „კონკა“ დადის. რეალური სასწავლებლიდამ დაწყებული ვარანცოვის ძეგლამდის და აქედამ ელისაბედის ქუჩით რეალურ სასწავლებლამდისვე ვიწრო ქუჩებია და ამ ქუჩებზე სიარული მეტის-მეტად გაძნელდა. ხან ვაგონი ჩამოდის რელსებიდამ, ხან ბევრი ფაეტონები, და ეკიპაჟები მოდის, ხან ფეხით მოსიარულენი არიან ბევრნი.

ამ ადგილებზე ყოველ წამში მოსალოდნელია რამე უბედური შემთხვევა. მიხაილოვის ქუჩის ბოლოზე რელსები ისე ახლო არის ტროტუარიდამ, რომ ერთი ფეხი რომ დაუცდეს კაცს, ერთი ხელი რომ ჰკრას ვინმემ „კონკის“ ბორბლებ ქვეშ მოყვება. რაღაც საუბედუროდ ამ ადგილზე ტროტუარიც მეტად ვიწრო არის.

ასეთივე ცუდი პირობაები დაუხვდება „კონკას,“ როცა იმას გამოიყვანენ რუსის ბაზარში, სასახლის ქუჩაზე და სხვ.

ეს არის ძირითი, ორგანიული ნაკლულევანება ქალაქის რკინის გზისა. ზოგი ნაკლულევანება ადმინისტრაციის წყალობითაც ხდება. დილით, თორმეტ საათამდის, მაგალითადა ძლიერ ცოტა ვაგონები დადის, ასე რომ ხალხის საჭიროებას ვერ აუდის.

მიუცილებელი საჭიროა, რომ რაც შეიძლება ის მაინც გასწორდეს ამ გზის ნაკლულევანებათაგან. ნამეტურ რელსების დაწევაა მეტის-მეტად საჭირო და საჩქარო. უჭველია ქალაქის რჩევა არ მიუცლის იმ სამწუხარო შემთხვევებს, რომელიც დღე-დღეზე მოსალოდნელია და წინა-დადებას მისცემს „კონკის“ პატრონებს გზის გადასწორებისას. თორემ „სამწუხარო შემთხვევა აუცილებლად მოხდება და მაშინ ყოველი კაცი ამას იტყვის ქალაქის რჩევაზე: გლეხ-კაცი მანამ პირჯვარს არ დაიწერს, სანამ ქუხილს არ გაიგონებსო.

### † უსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი

გაველილ თებერვლის დამდეგ დღეებში გარდაიცვალა ერთი ბათუმის მაზრის ბეგი უსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი. უსეინ-ბეგი იყო ძველი ჩაქვის ბატონების ჩამომავალი.

ეს სოფელი ჩაქვი, მდებარებს ბათუმიდამ ხუთის თუ ექვსის ვერსის მანძილზე ზღვის პირას; იგი თავისის მაზრით წარსულ საუკუნოებაში შეადგენდა ცალკე საბატონოსა ბათუმამდის. ქობულეთის ბატონებთან, თავდგირიძეებთან ერთის მხრით და მეორეს მხრით ბათუმის ბატონებთან აბაშიძეებთან ბრძოლა ჰქონდათ; ერთნი ხან იმარჯვებდენ, ხან მეორენი. ამ საუკუნეში მათში მშვიდობა დამყარდა, რაკი ოსმალოს მთავრობამ ყმები ჩამოაცალა. მაინც-და-მაინც ჩაქვის ბატონებს, ბეჟან-ოღლებს, მამულები პენცია და პატივი ჰქონდათ მმართველი ბილიკებისკენ გადაუხვევია. რასაკვირველია, ეს გამქლავნება ზოგისთვის მეორედ მოსვლაზედ უარესია და ზოგი ყურსაც არ გაიბერტყს; მაგრამ ის უკანასკნელნი არც სააქაოს არიან არც საიქიოს და იმათზედ ლაპარაკიც არა ღირს.

„დროების“ ფელეტონი, 20 მარტს.

### საკვირაო მასლაათი

კისრული

მხევალნო და ასულნო საქართველოისანო, იხარებდით და იშვებდით!... მაგრამ, უკაცრავად, იმ თავიდან არ დავიწყე, საიდანაც მინდოდა. მომიტევეთ, ბატონებო და ნამეტნავად ქალბატონებო! თუმცა სული მიწუხს, გული იტანჯვის, მაგრამ უნდა შეგატყობინოთ ერთი თქვენი დინჯი და ტკბილი სიცოცხლის შემაძრწუნებელი ამბავი: მალე იქნება მეორედ მოსვლა!! ვხედავ ქალბატონებო, ამ უცნაურმა ამბავმა ძალიან შეგაწუხათ: ჰფითრდებით, ფერი მიგდისთ და სასუნებელი კაპლებისკენ იწვდით ნაზ თათებს, მაგრამ პატარა მომისმინეთ; მართლა ქვეყნის დანგრევას ნუ მოელით. აი საქმე როგორ არის: მე ჟამთა ვითარებისა გამო რამდენიმე ხანი ვიყავი გადაღუპული შორ ქვეყანაში, სადამდინაც ქვეყნის ამბავი ვერ მოახწევს. როდესაც ღვთის ნებით და თქვენის ლოცვით ისევ მელირსა ჩვენს კურთხეულ საქართველოში დაბრუნება, უწინარეს ყოვლისა, „დროების“ ფურცლები გადავიკითხე, რომ შემეტყო, რა მოხდა ჩემს აქ არ ყოფნობაში. სხვათა შორის შევიტყვე, რომ ერთ ქართველ ვარსკვლავთ-მრიცხველს მე, თქვენი უმორჩილესი მონა, დავით სოსლანი, კუდიან ვარსკვლავად უცვნივარ, რომელიც თვალ-გადაუწვდენელი ცის სივრცეში ჩაღუპულა და თუ მეორედ კიდევ თავი სადმე ამოყოვო, ქვეყანა დაიღუპებაო. აი ეხლა „დროების“ ფურცლებზედ ამოვყავი თავა და მაშ მოუღწევია ჟამსა სინანულისასა. დაეშურეთ კანონიერ შეუღლებას, წუნია პატარძლებო და იხილეთ სიტკბოება ამა ქვეყნისა. მერწმუნეთ, არა არის-რა იმაზედ უარესი, იმაზედ საშინელი, როგორც ბერ-ქალად დარჩენა და უსარგებლოდ დაჭკნობა. საბრალოა ვარდი, რომლის კოკორზედაც ერთხელ მაინც არ დაჰკვნესა და არ დაანთხია თავისი გრძნობები ეშხით დამწვარმა ბულბულმა!... გვირგვინოსანნო მანდილოსანნო! თქვენც შეისმინეთ ჩემი აჯა; იყავით მტკიცედ თქვენს აღთქმაზედ, რომელიც ღვთისა და ერის წინაშე მიგიციათ და ვინც ბედმა გაკუთნათ, იმაზედ იქით ნულარავიზედ გრჩებათ თვალი, რომ პირ-ნათლად წარსდგეთ ჟამსა განკითხვისასა... კაცებისთვისაც მინდოდა მიმეცა რამდენიმე დარიგება, მაგრამ მაგათ ცოდვებს და გაქნილობას „ვერვინ მოსთვლის თუ არ ბრძენი ენა მჭევრი“ და იმიტომ ხელს ვიღებ. დიაღ, მეორედ მოსვლა უეჭველად იქნება, მაგრამ ისეთი კი არა, რომ უინვარი არარატს დაეტაკოს; ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ვისაც ბოლო სანეხვეზედ უდევს—უკაცრავად ამ შეუფერებელი სიტყვის ხმარებისთვის—მალე უნდა თავს უშველოს, თორემ მე არც სქესის, არც ხარისხის, არც სიმდიდრის და არც შთამომავლობის მიფერება და დაზოგვა დავთარში არ მიწერია. ჰიანარლის მუნდირს და სხვა გარეგან განსხვავებას ჩემს თვალში არაფერი მნიშვნელობა არა აქვს. მე ყველა კაცი იმ სახით მიდგება თვალ-წინ, რა სახითაც დაბადა ღმერთმა პირველად თიხისგან. ჩემ პატარაობაში ერთი ინგლისელი მუშების შეთხზვილი სიმღერა წავიკითხე, რომელშიაც შემდეგი აზრია: როდესაც ადამი ჰბარავდა და ევა სთესდა, მაშინ სად იყო აზნაური? და მას აქეთ ეს ჭეშმარიტება სოლივით ჩამესო თავში. ყველას ერთ ნაირად ვაწვალებ და ვაწამებ პატარა კალმის წვერ ქვეშ, ვინც თავის მოვალეობას ივიწყებს, რიგიანად არ ასრულებს თავის სამსახურს ერისა და ქვეყნის წინაშე და ვის სინიდისსაც შარა-გზიდან ვიწრო გრეხილი ბილიკებისკენ გადაუხვევია. რასაკვირველია, ეს გამჟღავნება ზოგისთვის მეორედ მოსვლაზედ უარესია და ზოგი ყურსაც არ გაიბერტყს; მაგრამ ის უკანასკნელნი არც სააქაოს არიან არც საიქიოს და იმათზედ ლაპარაკიც არა ღირს.

* * *

ეხლა კი ბოდიშს ვიხდი და ჩოქით თქვენ წინაშე, ვითხოვ შენდობას, კეკლუცნო საქართველოისანო! თურმე თქვენ ისეთი უხეირონი და საძრახისნი არა ყოფილხართ, როგორც მეგონა და საქვეყნოდ ცილი შეგწამეთ. თურმე თქვენთვის უძგერთ გული არც თუ მარტო ჩრდილოეთიდან გადმოსულ „ხმალ-ფხაკუნებს“ (თუ, არ ვიცი, თქვენ უფრო გიძგერთ იმათთვის?), არამედ თქვენ აგიშფოთებიათ და მთლად დაგითფთხიათ ძილი ბუზღუნა ინგლისელისათვის, რომლის ქილიკობა ძნელი წარმოსადგენია. მაშ გაიხარეთ, ჩვენო ქალებო! ხედავთ თქვენ ნატყორცის ისარს სად გაუგმირავს კაცის გული? მომისმინეთ: ზ—დის მაზრის უფროსს ბ. მ—ძეს მოსვლია ლონდონიდან *) ერთი ინგლისელის

*) ლონდონი იმყოფება ინგლისში და არა ინგლისი ლონდონში. სძევს მდინარე ტემზაზედ. ეს შენიშვნა დავი-

ბლობისაგან და სიყვარული და მეგობრობა ხალხისა.

უსეინ-ბეგი ბექან-ოღლებში იყო უფროსი ბეგი, წლოვანობით სამოცს წელს გადაცილებული მაგრამ ღონით და შეხედულობით ახალგაზდასა ჰგავდა. ზონიერი, მოსწრებული სიტყვისა, გულ-კეთილი, კეთილშობილი საყვარელი ხასიათის მქონებელი იყო; სულით და გულით ნამდვილი გურჯი იყო (მუსულმანი ქართველი).

უკანასკნელ ომებში ოსმალოს ჯარში მაიორის ჩინით ჯარებთან ციხის ძირში იდგა. მორიგების შემდეგ როდესაც მოძრაობა დაიწყო ხალხში და ოსმალეთში გადასვლა დააპირეს, უსეინ-ბეგი ერთი მომატებულად გადასახლების მოწინაალმდეგეთაგანი იყო. მას ძლიერად უყვარდა მამა-პაპის მიწა-წყალი და მისი მოშორება სიკვდილად მიაჩნდა თავისთვისაც და ჩვენ ხალხისთვისაც. მომატებული წილი ბეგებისა უფრო გავლენი მქონებელნი, ქობულეთის და ზედა აჭარის თავდგირიძეები, აგრეთვე ზოგი მისი სახლის კაცები გადავიდენ ოსმალეთში, რადგანაც მოელოდენ წინ წასვლას სამსახურში. უსეინ-ბეგმა იცოდა, რომ დარჩენით რუსეთის სახელმწიფო სამსახურში წინ ველარ წავიდოდა, რადგანაც რუსის კანონები არ იცოდა, მაგრამ უანგარო, უხარბელი, მამულის სიყვარული, თავის მამა-პაპის მიწა-წყლის სიყვარული ისეთი ძლიერი ჰქონდა, რომ ყოველ თავისს გონებას და ღონეს ხმარობდა ჩაეგონებინა გარშემო მის მყოფთათვის, რა უბედურება, რა წახდენა მოსდევს ხალხსა თავის მიწა-წყლის დატოვებით და უცხო ქვეყანაში, ოსმალოში გადასახლებით. მან, აგრეთვე მის აზრის მქონებელთა უსეინ-ბეგ აბაშიძემ და სხვა ბეგებმა მრავალი მეცადინება გამოიჩინეს ამ საქმეში უანგაროდ, თავის სარგებლობის მიუხედველად და ხალხი კიდეც შეაჩერეს. ამ გვარად დიდი ღვაწლი მოუტანეს ჩვენს ქვეყანასაც და რუსთ მთავრობის პატივსაც; ქვეყანას მისთვის, რომ არ დაიცალა და არ გავერანდა ბათუმის გუბერნია; რუსთ მთავრობას მისთვის, რომ ევროპაში გავრცელებული ხმები გამტყუნდა, ვითომც რუსთ მთავრობას ადგილების დაცლა უნდოდესო და ძალით ხალხს ოსმალეთში ერეკებოდესო. ვინ იცის რამდენი შრომა რამდენი სატანჯველი, რამდენი დრამმები ხდებოდა ბერლინის ტრაქტატის გადასახლების ვადის გასვლამდის. ამ პატიოსან ცდაში და ხალხის დამშვიდებაში დიდი შრომა გასწიეს მოხსენებულ ბეგებმა, მათმა მომხრეებმა და ამათში განსვენებულმა უსეინ-ბეგმა.

ამ ზამთარს უსეინ-ბეგი ბექან-ოღლი პეტერბურღში იყო და იქ ავად შეიქნა. შინ დაბრუნების შემდეგ ვერ განთავისუფლდა ავად-მყოფობას და გარდაიცვალა თავის სოფელში ჩაქვში. რუსის მთავრობამ მას მისცა მაიორის ჩინი, რომელიც ოსმალოს დროს ჰქონდა. დასაფლავებაზე ბათუმიდამ პატივისცემისათვის მივიდენ გუბერნატორი და სხვა მოხელენი და გაგზავნილ იქმნა ჯარი, რომელთაც პატივით დაასაფლავეს განსვენებული უსეინ-ბეგი ჩაქვშივე.

უსეინ-ბეგს დარჩა შვილები, რომელთაგან უფროს ვაჟი ცხრა-ათის წლისაა, ძმები და ძმის-წულები. ძმისწულებისაგან, ზოგნი ოსმალოში გადავიდენ სამუდამოდ. უსეინ-ბეგის ოჯახობაში ძველი ჩვენებური თქმულება და ჩვეულობა მტკიცედ დარჩენალა, ვიდრე სხვაგან. თვითონ უსეინ-ბეგმა მთელი „ვეფხის ტყაოსანი“ ზეპირად იცოდა, კარგი მკითხველი და წესის მცოდნე იყო*), პირადი მხიარული და მოლხინე; ყოველის ფრით წარმოგიდგებოდათ, როგორც ნამდვილი ჩვენი კარგი გულის პატრონი თავადიშვილი ქართველი. მისი სიყვარული თავისის სამშობლოს მიწა-წყლისა იყო ინსტიქტიური და ამიტომ ძლიერი; იგი ამიტომ სწუხდა რომელსამე თეორიულად მოყვარეზე მეტად თავის მოძმე ხალხის გასვლასა და ამიტომაც დიდად შრომობდა. არც სახელი, არც რომელიმე გარეშე პატივი, არც საჩუქარი ჯილდო ან სასყიდელი იყო მისი შრომის წამქეზებელი. მისი და მისთა მსგავსთა შრომამ ნაყოფი მოუტანა ჩვენს ქვეყანასა და ბათუმის მაზრის ხალხი გადაარჩინა გადასვლას, განადგურებას, ამოწყვეტას უცხოობაში გადასახლებით.

*) სხვათა შორის აქ მოვიხსენებთ ერთს ლექსს თამარ დედოფალზე, რომელიც განსვენებულს ძველთაგან გაგონილი და ნასწავლი ჰქონდა და რომელიც არსად არც წაგვიკითხავს და არც გაგვიგონია:

ათას-კაბა ყმა მყავდა,
ყველანი ოქროს ღილითა.
გავშვებდი დედალ ხოხობსა,
გასმევდი ბროლის ჭიქითა.
ვინც რომ შემება, შევები
ალალითა და ჯიქითა.
აწი თქვენ იცით მეფენო,
ვინ დარჩი ამას იქითა.

ზ.

ვერც არავითარი ცრემლი, ვერც არავითარი მეტყველება, ენა და კალამი ვერ გამოსახავს შენს და შენ მსგავსთა ღვაწლს, კეთილო კაცო უსეინ-ბეგ, რაც საშვილიშვილოდ, საუკუნოთ მოსახსენებელი, საქართველოს საისტორიოდ სალალადებელი, ქართველთ ქვეყნისათვის ძვირ ფასი საქმე მოიქმედე; ასი-ათასი შვილი გადურჩინე დედა-ქვეყანასა.

იყავ უკვდავად, მაგალითად ჩვენის შთამომავლობისათვის. იყავნ საუკუნოდ სახსენებელი შენი პატიოსანო ერთგულო შვილო შენის ქვეყნისაო!

ზ.

## დღიური

ამ დღეებში ჩვენ დაგვატკბო აკაკიმ თავის ახალი პოემის წაკითხვით.

პოეტის ნიჭი, კილო ენისა და მშვენიერი ლექსთა-წყობა ცხადად იხატება პოემაში.

თორნიკე ერისთავი მხნე და მამაცი სარდალია მეფე დავით კურაპალატისა (მეათე საუკუნე); თორნიკია უმთავრესი მომქმედი პირი პოემაში და პოეტსაც ამ სახელით—„თორნიკე ერისთავი“—მოუნათლავს თავისი პოემა.

* * *

რუსულ გაზეთს „Новости“-ში სწერენ, რომ მოსკოვში გვირგვინის კურთხევაზედ, ტფილისიდამ ჩამოვლენო აკტიორები და აკტრისები ქართულის დრამატიული დასისა ადგილობრივის მუსიკით (დუდუკით) და საუკეთესო მოლეკურებით.

ჩვენ ადრევე ვიცოდით ჩვენი დრამატიული დასის განზრახვა ამ საგნის

---

წერილი, რომელშიაც შემდეგს იწერება: მე ინგლისში ჩემი შესაფერი ცოლი ვერ ვიშოვეო და რადგანაც მანდაური ქალები არიან ქვეყანაზედ განთქმულნი თავიანთ კეკლუცობით და სილამაზით, უმორჩილესად გთხოვ ერთი ქალი გამომიგზავნოთ. გზის ხარჯი ჩემი იქნებაო....

აი შინაარსი ამ წერილისა, როგორც გნებავდეთ, ის გაიგეთ. ზოგიერთმა ბუმბულაძეებმა კინაღამ ხახაში ჩამჩარეს ეს წერილი. „აბა ეხლაც იუბედებ, რომ ჩვენი ქალები არ ვარგიანო? ამაზედ უკეთესი დიპლომი ჩვენ ქალებს აღარ უნდათ. ნუ აჩქარდებით, ბატონებო!... იმავე ინგლისელისაგან მეც მივიღე ერთი წერილი. აი წაიკითხეთ და შეადარეთ:

„მოწყალეო ხელმწიფეო,
დავით სოსლან!

თქვენებური ცხენები ქვეყანაზედ განთქმულია ფეხის სიმაგრით და სიმარდით. უმორჩილესად გთხოვთ ერთი კარგი ფაშატი ცხენი ამირჩიოთ და ჩემი „ზავოდისთვის“ გამომიგზავნოთ. ყველაფერს ხარჯს მე ვკისრულობ.

თქვენი უმორჩილესი
ლორდ უიტლამპტონი.

ნახე საჭიროდ ჩვენი შლიაპოსანი ქალებისთვის, რომელნიც თუმცა უგუნურებს აჯერებენ, რომ შლიაპა განათლების ნიშანიაო, მაგრამ გეოგრაფიაზედ ქალბატონი პროსტაკოვაზედ მეტი წარმოდგენა არა აქვთ.

განა ცხადი არ არის, რომ ის თავლაფ დასხმული ინგლისელი ცხენს და ჩვენ ქალს ერთნაირად უყურებს?

ყველაზედ გულ-მოსასვლელია წერილის უკანასკნელი სიტყვები: ქალი გამომიგზავნეთ და გზის ხარჯი ჩემი იქნებაო! თითქოს ისეთი გადასაყრელი ქალები გვყავნდეს, რომ მატყლისა და ყაჭის ნიმუშებივით ფოსტის პაკეტებში ვბეჭდოთ და ინგლისელებს უგზავნოთ!?

* * *

რადგანაც წერილებზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთს ახირებულ წერილზედ უნდა მოგახსენოთ, რომელიც ეხლა რედაქციის აბგაშია შენახული შემდეგი შთამომავლობის გასაოცრად. რამდენ სისულელესა და ცრუ-მორწმუნებას აქვს მაგრა გადგმული ფესვი ჩვენ უმეცრებით შებოჭილ საზოგადოებაში. როდის მოეფინება განათლების სხივი და განდევნის სამუდამოდ იმ სიბნელის და უმეცრების მეფობას, რომელიც ლიბრივით გადაჰკვრია ჩვენ საზოგადოებას და შავს თეთრად აჩვენებს? მერწმუნეთ, არ მეგონა, თუ ჩვენ შორის კიდევ მოიპოვებოდა ისეთი... შესანიშნავი და ჭკვიანი კაცი, როგორიც ბრძანებულა ზემოხსენებული წერილის ავტორი. კაცი რომ ღრმად დაუფიქრდეს, ცალი თვალით უნდა იცინოს, მეორეთი იტიროს. მეცხრამეტე საუკუნეში და ამისთანა კაცის არსებობა საოცარი რამ არის; ამისათვის ვურჩევ საგანგებო საგნების მოყვარეთ ბ. ჩ. ჩქარა სპირტის ბანკაში ჩასვან და კაცობრიობას შეუნახონ. უკაცრავად, დავლალე თქვენი ცნობის-მოყვარეობა და ჯერ არ მითქვამს ვიზედა ვლაპარაკობ. მოისმინეთ და გაოცდით! ერთ საქართველოს შესანიშნავ ქალაქში სცხოვრობს ერთი დარბაისელი კაცი, ბ. ჩ—ვი. თურმე სამი წელიწადია, რაც „დროების“ ხელის-მომწერელთა რიცხვში ჩაწერილა და გულმოდგინედ კითხულობს. ეხლა თავის შესანიშნავ წერილში, სხვათა შორის, შემდეგს იწერება: „თუმცა თქვენი გაზეთის კითხვა ჩემთვის ს-სიამოვნოა, მაგრამ ჩემი ღირსება ყველა გაზეთებს მირჩევნია და გთხოვთ სამი თვის ფული აილოთ და დანარჩენი დამიბრუნეთო...“ მე ძლიერ გავკვირდი—რას ნიშნავს ეს წყრომა. ბოლოს ამიხსნეს, რომ თურმე დიდი ხანია, რაც ბ. ჩ. დაობს, რომ ადრესი აზნაურობის სახელობაზედ მისწერონ და რედაქციაც გაჯიუტებულა და აზნაურიშვილად არ აღიარა ჩ. ეხლა მე, საკვირაო მეფელეტონე, დამავალეს, შევატყობინო ბ. ჩ—ს, რომ მივსწერეთ გეროლდიის დეპარტამენტში შეგვატყობინონ—ბ. ჩ—ვი მართლა აზნაურიშვილია, თუ არა...

* * *

წარსულ კვირას იყო გამართული კანცერტი საქველ-მოქმედო მიზნით, რომელშიაც ქართული დასის საუკეთესო არტისტებმა მიიღეს მონაწილეობა. თუ როგორ შეასრულეს არტისტებმა თავ-თავიანთი ნომრები, ამის გარჩევას არ შევუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ საბეგრო საქმეს ბ.ბ. არტისტები ბეგრულად მოეპყრენ, თუმცა მეტ-ნაკლებობა აქაც იყო: ზოგიერთი მათგანი საიხნიო ხარივით სულ ქედ-აგდებული მიათრევდა უღელს, ზოგი კი, ღვთის წინაშე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა სჭიმავდა საყვავარს.

მე მსურს პატარახან შევაჩერო მკითხველის ყურადღება ჩვენი პოეტის ილ. ჭავჭავაძის ახალ პოემა „განდეგილზედ“, რომელიც იყო წაკითხული ამ კონცერტზედ. თ. ილ. ჭავჭავაძე, ყველამ იცით, ბურჯია, დედაბოძი ჩვენი ლიტერატურისა. ის, ესეც კარგად ვიცით, თავის მკითხველებს არ ანებიერებს და კარგადაც ამარხულებს; ამიტომაც იმის ერთი დამთქნარებაც ჩოჩქოლს აღძრავს ხოლმე საზოგადოებაში. უქველია ყველამ, ახალი ბეჭდიდან გამოსული, ისევ სველსველი ფურცლები გადაყლაპეს და, მგონია, ის ველარ იგემეს, რასაც ელოდენ. პოემა „განდეგილი“ ჩემის აზრით არის ყველაზედ უსუსტესი, რაც კი ბ. ჭავჭავაძის კალმიდან გამოსულა; უსუსტესია-მეთქი, ვიმეორებ, როგორც შინაარსით, ისე გარეგანი ფორმით. თუმცა ბ. ჭავჭავაძემ ერთხელ დაჰმღერა:

„ღმერთთან მისთვის გლაპარაკობ,
რომ წარუძღვე წინა ერსა!..“

მაგრამ „განდეგილით“ დაგვიმტკიცა, რომ იმას ჯერ კიდევ თავის მაღალი

შესახებ, მაგრამ ესე დაბეჯითებით თქმა კი არ შეგვიძლიან, რადგანაც მათი აქ წასვლა დამოკიდებულია სახლის მინისტრზე, გრაფ ვარანცოვ-დაშკოვზე, რომელსაც თხოვნა გაუგზავნეს...

***

შორაპნის მაზრის, სოფ. მუხურიდამ შემოგვჩივიან, რომ, როგორც ამ სოფელს ისე თითქმის მთელის შორაპნის მაზრის მცხოვრებლებს მეტისმეტი შევიწროება მიჰყენებიათ იმის გამო, რომ მათ აღარ აძლევენ ნებას თამბაქოს მოყვანისა. ადრე რომ თამბაქოთ ვაჭრობა აღვიკრძალესო, ის უფლება მაინც მოგვანიჭეს, რომ ჩვენ საკმარისს თამბაქოს კიდე ვამუშავებდითო და ცოტაოდენს დაუბრეხელად—ფოთლობითაც ვყიდდით ხოლმეო, ახლა კი ყველა ესეც აღკვიკრძალეს და ვეღარც ჩვენი საყოფი თამბაქო მოგვყავსო. — ვეუბნებიან — იყიდეთო! ამ მოუსავლობის წელიწადს თამბაქოსს კი არა ნეტავი მჭადის ფასს შეიპოვიდეთ და უფალს თაყვანს ვცემთო;—სხვა ვინმე, გლეხს—მუშაკის გარდა, ძნელად მიხვდებაო, თუ რა შველაა გლეხისათვის თამბაქო, რამდენს დარდს ჰყოლებს ჩიბუხს მუშაობის დროს...

***

დღეს ტფ. 2 გიმნაზიის დარბაზში ამ გიმნაზიის ექიმი ნ. ნ. უშაკოვი წაიკითხავს ლექციას „თამბაქოს წევის ვნებაზე“. შემოსავალი ლექციიდამ დანიშნულია ხსენებულის გიმნაზიის ღარიბ შაგირდების დასახმარებლად.

***

გაზ. „მოსკოვის ტელეგრაფს“ სწერენ სამტრედიიდან რომ ბათუმის რკინის გზა ბეგრულად მიუხუხულავებიათ. სამტრედიიდან მოყოლებული მომეტებული ნაწილი რკინის გზისა გაყვანილია თურმე ჭაობიან ადგილებში, რომლებიც ქვის მაგიერ ფიჩხით და უბრალო ჩხერგით ამოუვსიათ. ადვილი წარმოსადგენია, რა დაემართება გზას, როდესაც ყველა ეს დალპება; ჯერ გზას მუშაობა არ დაუწყიათ, და ხიდეები ჯერ ორჯერ დაუკოწიწებიათ. რამდენჯერმე ნიაღვარსაც ჩაურეცხია გზა და რელსები ჰაერში იყო ჩამოკიდებულიო.“

თითქმის ესვე აზრი გამოვთქვით ჩვენ ადრე, ჩვენი გაზეთის ერთ წინა ნომერთაგანში, ამ გზის შესახებ. ვისურვოთ, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიქცეოდეს. გვიან იყოს და ერთგული, უმიზეზო გზაისა სჯობიან რასაკვირველია...

***

ოსმალეთის გაზეთები გვატყობინებენ, რომ გამოჩენილ შამილის შვილს მაჰმედ-ფაშას, რომელიც აქამდე ოსმალეთის სამხედრო სამსახურში იყო და თვით ხონთქართან ძალიან დაახლოებული, უეცრივ დაუნებებია სამსახურისთვის თავი, დაუტოვებია ამ სოფლიური ტკბილი ცხოვრება და გამგზავრებულა შამას, სადაც ლოცვაში უნდა გაატაროს დანარჩენი სიცოცხლე. მაგრამ თავისი ჰარამ-ხანა, ჩერქეზის ლამაზი ქალებით არ დაუტოვებია და მთლად თან წაუსხამს...

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

ტ.-ხ.-შურა, 10 მარტს. თებერვალის აქეთ აქ იმყოფებიან ბაქოს ოლქის სასამართლოს წევრნი და არჩევენ საქმეებსა. სხვათა შორის ერთი საქმეა შესანიშნავი, რომელიც გაირჩევა ამ თვის 19-ს. ამ სამი-ოთხი წლის წინად ამ ქალაქში ასტყდა საშინელი ქურდობა, ცარცვა და კაცისკვლა. პოლიციას დავთარი დაეკარგა—არ იცოდა რა ექმნა, ხან ვის სტაცებდა ხელსა და ხან ვისა. ერთი ყიზილბაში, აქაური მცხოვრები, რაღაცას ფართი-ფურთობდა, პოლიცია დაარწმუნა, რომ ყველა ავაზაკს იპოვის და უჩვენებს. პოლიციამაც დაუჯერა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ თვითონ ეს ბატონი ყოფილა ავაზაკთა მოთავე. შარშან გაასეირეს ციმბირისკენ—კატორღაში და ეხლა ისევ მობრძანეს, როგორადაც მოწამე ერთ საქმეში,—მოხუცი ვაჭარი კაცის მოკვლაზე და გაცარცვაზე.

ამ სამის წლის წინად აქ მოვიდა პოლკოვნიკი თავადი არჩილ გულბათის-ძე ჭავჭავაძე და ჩაიბარა დაღესტნის ცხენოსანი პოლკი. ჯერ ეს ლეკები, აჭრელებულნი სხვა-და-სხვაფრის ტანისამოსით, მორთო ერთ ფრად. შემდეგ დაუწყო წურთვნა ამ მთის ხალხსა: უნდა ნასწავლს სამხედრო პოლკებს დავამსგზავსოვო. ბევრს საცინლად არ ეყო ეს ამბავი: ნეტა რას აწვალებს ამ საწყალ ხალხსაო ამბობდენ. მაგრამ ბატონი კამანდირი ენერგიულად მოექცა ამ საქმესა და ეხლა იმ დონეზე დააყენა პოლკი, რომ არც ერთ ნასწავლს რუსეთის ჯარს არ ჩამოუვარდება. თქვენა გგონიათ ამითი გათავდა საქმე? არა, ეს არ იკმარა თ-მა ჭავჭავაძემ. ახლა მოუვიდა აზრად, თუ კი ეს ისწავლესო, იტალიანურ მუზიკასაც ისწავლიანო. გამოიწერა სხვა-და-სხვა საკრავების იარაღი, დაიბარა კაპელმეისტერი, რომელიც ძლივს ლაპარაკობს რუსულსა, პოლკში აარჩია ყოჩაღი ბიჭები და დააწყებინა ბერვა კლარნეტში, ტრომბონში და სხვა საკრავებში. ყველა იცინოდა, ვის გაუგონიაო დაღესტნის ლეკი და ეს ამბავიო; ამათ წინაპართ რომ წამოიხედონო საფლავიდამ სიცილით ხელ-მეორედ დაიხოცებიანო. აგერ ნახევარ წელიწადია ბერვენო თავიანთ ლოროტოტოებში, მაგრამ, აბა, სად მოვისმინეთ ამათი დაკრული მუსიკაო. ამას წინად მშვენიერი დღე იყო. დილით გავედ სახლიდამ სასეირნოდ და ამ დროს მომესმა მუსიკის ხმა; მივყევ ამ ხმას და მიმიყვანა იმ მემუსიკე-ლეკების სადგურს; დაუკრეს ეს მაზურკაო, პოლკებიო, კადრილიო და სხვა-და-სხვა მარშები... გავკვირდი და დიდად ვისიამოვნე, რომ ასე მალე ისწავლეს და ამ ბატონი ქართველის ამაგმა და ჯაფამ ფუჭად არ ჩაიარა. ზოგიერთნი კი იძახიან კავკასიის ხალხი მხეციაო, მეტადრე მთიული, ნიჭი არაფრისა აქვსთო!

პატივი და დიდება თავადს არჩილს ჭავჭავაძეს!

გ. ბაღსარაშვილი.

## კერძო საავადმყოფო

კუკიაში, ხუმთონოვის ქუჩა, ახვერდოვის სახლი.

ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ.

დილით: 9 საათიდამ 10½-მდის ნავასარტიანც—ხირურგიულ და ვენერიულ ავადმყოფისა და რუდკოვსკი—ქალის, ყმაწვილის და შინაგან ავადმყოფ.; 10½ საათიდამ 12 საათ. შახ-აზიზ—შინაგან ავადმყოფობისათვის. 12 საათიდამ 1 საათ. თვალის ავადმყოფ. ლარიო-

დანიშნულება ვერ გაუკვლევია, ის ერის წინ წაძღოლას არ აპირობს და უფრო იმ პოეტსა ჰგავს, რომელიც პუშკინის აზრით, „შექმნილია ტკბილი ხმების დალოცვისათვის“. ჩვენ დროს არ შეეფერება, რომ პოეტმა, მერე იმისთანამ, როგორიც ილ. ჭავჭავაძეა, თავის ქნარი რომელიმე განდეგილი ბერის უსაგნოდ და უმიზნოთ ცხოვრების დასამღერად მოამართოს. ჯერ ერთია, რომ ჩვენი ხალხის იდეალს სრულებით არ ეთანხმება ამ სოფლიდან სამუდამოდ გაცლა და მარტო ლოცვაში სიცოცხლის გატარება. მართალია ხალხურ ლეგენდებში ბევრ წმიდა ბერს შეხვდებით, რომელიც უდაბნოში ლოცულობს, მაგრამ ის მთლად არ არის დაშორებული ხალხთან და გაჭირების დროს იმის წმიდა ცხოვრება სასარგებლო ხდება ხალხისთვის. ბ. ილ. ჭავჭავაძის „განდეგილი“ შეიძლება იყოს ბერძნებისა, ასურეთლებისა რუსებისა და ქართველებისა კი არ არის. ჩვენ ლიტერატურაში ხოლოდ ორმა პოეტმა მიაგნო ნამდვილ კვალს და აღარც გადაუხვევია. რ. ერისთავმა, რაც დაწერა „ასპინძის ომი“, მას აქეთ მისი მუზა დაჰმღერის ისტორიულ და ხალხურ კილოზედ. ჩვენის აზრით ეს არის ერთად-ერთი დროთა მოთხოვნილების შესაფერი კილო და სხვა გვარი კილო ნაფრენის შეშლა იქნება. აკაკის ლექსების კილოშიაც დიდ ხანია, რაც ისმის მხოლოდ ისტორიული, ხალხური და განკიცხვითი კილო. როდესაც ილ. ჭავჭავაძემ „დიმიტრი თავდადებული“ დასწერა, ჩვენ გვეგონა ისტორიულ კილოს აღარ უმტყუნებდა, მაგრამ „განდეგილმა“ წინასწარმეტყველება არ გაგვიმართლა. განა ბ. ჭავჭავაძისთანა პოეტს ეპატიება ხალხის მისაყურებელ და „ზარმაცთა ყურის დასატკბობ“ ხმებს დაჰმღერდეს მაშინ, როდესაც დაუდგრომელი შრომა და მედგარი ბრძოლა არსებობისთვის არის საჭირო?

„ნუ თუ ხომალდის ოთახში ამ დროს
დაიწყებ გრძნობით შენ ჩანგის კვრასა,
რომ მით ზარმაცებს ყური დაუტკბო
და იმით ღრიალი ქარის გაუქრო?“

ასე ეუბნება ნეკრასოვის მოქალაქე პოეტს. დამეთანხმეთ; რომ ბ. ჭავჭავაძის ახალი პოემა „განდეგილი“ სწორედ ამ სოფლიდან გაცლას და მთის წვერებზედ ლოცვას გვირჩევს მაშინ, როდესაც დიდის და პატარის ძალა უნდა ერთად იყოს მიქცეული, რომ ხომალდი არ დაიღუპოს, რომელსაც გაშფოთებული ზღვის ტალღები დამსხვრევას უქადიან.

„და კიდევ უფრო სირცხვილი არის,
რომ მამულისა უბედობის დროს
მშვენიერებას მიწისა და ცის,
და ლამაზ ქალებს მან უგალობოს“!..

ეუბნება იგივე მოქალაქე პოეტს. „განდეგილი“ რომ თავით ბოლომდე გადიკითხოთ, თითონ მიჰხვდებით, რომ პოეტს დაუძალადებია თავი: მთელ პოემაში ერთ ალაგს ვერ შეჰხვდებით, სადაც ის ძლიერი გრძნობა იყოს გამოხატული, რომელიც ჭავჭავაძის სხვა ნაწერებში ისე უხვადა სჩქეფს. თავით ბოლომდე ძალადობაა და ხმელი რიტორიკაა. აქ უნდა გავათავო ლაპარაკი ბ. ჭავჭავაძის პოემაზედ, რადგანაც საკვირაო ფელტონში მეტი ალაგის გაზიარება არ შემიძლიან.

***

მოგეხსენებათ, სომხები ჩვენ დედა ქალაქს გვედავებიან და ტფილისის მაგიერ ლამის ანი დაარქვან. ეხლა ბ. მართანოვმა შეგვატყობინა, რომ მთელი ქალაქის მაგიერ ორ უბანსა გვჯერდებიან. მოგახსენებთ: ქალაქმა დააპირა ორი სამკურნალო გახსნას ავლაბარში და ხარფუხში. ბ. მართანოვს შეუტანია წინადადება, რომ იმ სამკურნალოებში სომხური და თათრული ენების მცოდნე ექიმები დაინიშნოსო, რადგანაც ხსენებულ უბნებში მოსახლენი განსაკუთრებით სომხები და თათრები არიანო(?!). ქართველები კი გასწყდა, ბ. მართანოვო, საქართველოს დედა ქალაქში? **Ври да знай мѣру!** სად ნახეს ავლაბარში თათრები? ჩვენ არც სომხებსა ვხედავთ ჩვენში. საქართველოში არიან ჩვენის ფიქრით ქართველნი მართლმადიდებელნი, ქართველნი მაჰმადიანები, ქართველნი გრიგორიანები და სხვ. და არა სომხები. შეიძლება საქართველოში იყვნენ სომხები ვაჭრები, ხელოსნები და სხვ. და არა მთელი სომხის ერი ვართანიანცებისთანა პატრიოტებით. როდესაც ერთი ორგანიზმი ცოცხალია, იქ მეორე ორგანიზმს ცხოვრება არ შეუძლიან. შეიძლება იმ ორგანიზმს იარა გაუჩნდეს და ორგანიზმში მეორე ორგანიზმი კი ლოღიკური *non sens*-ია. არ ვიცი რომელი ურჩევნიათ ვართანიანცებს, რომ ჩვენ ძმებსა ვხედავდეთ მათში ხოლოდ გრიგორიანის სარწმუნოებისას, თუ ჩვენ იარას და მათ მოსარჩენ წამლის ძებნას შეუდგეთ? ეს მათ კეთილ გონიერებაზედ მიგვიგდია...

***

ხუთშაბათს ბლონდენის ჭიდაობას დავესწარით პირველად, რომელმაც დიდუბის მინდორზედ დიდ ძალი ხალხი შეყარა. ბლონდენის მებრძოლი კახელი ბიჭი ძალიან მარჯვედ დაუხვდა და რო არ გაეშველებინათ, ვინ იცის როგორ იქნებოდა ბლონდენის საქმე. ბლონდენის ჭიდაობაზედ დასწრებამ ორი სურვილი გაგვიღვიძა თავში: ერთი, რომ ჭიდაობის მოყვარეთ და მოთავეეთ თან-და-თან აღადგინონ ძველი სახალხო თამაშობები, მაგ. ცხენოსნობა, ბურთაობა და სხვ. და მეორე-გამართონ საჭიდაო ცირკი, რომელიც ხალხის მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებს და შემოსული ფული ჩვენ საქველ მოქმედო საზოგადოებებსაც დიდ შემწეობას მისცემს.

ერთი მცირედი შენიშვნა კიდევ. წარსული კვირის ფელტონში სულიერი მამები კალმის წვერზედ მომედვნენ და მეც აღარ მოვერიდე. ფარვანა, რომ სანთელზედ ტრიალს დაიწყებს და დაიწვება, სანთლისა არა ბრალია...

დავით სოსლანი.

ნოვი მუდამ დღე კვირასა და ოთხშაბათს გარდა, და რეიხი ოთხშ. და კვირას.

საღამოს: 5 საათიდამ 7-მდინ უშაკოვი—ყმაწვილების და ყელის ავადმყოფობ. სამშაბათობით, ხუთშაბ. და შაბათობით. ნერვების, ესიხიურ ავადმყოფ. და ელექტრო-ტერაპიისა—აროუთინოვი მუდამ დღე და კონსულტანტად მაგაევი სამშაბათობით და შაბათობით. საზოგადო კონსულტაცია ექიმებისა სამშ.-შაბათობით საღამოს 7 საათ. 8-მდინ. მუდამი კრავატები.

ფასი რჩევისათვის—50 კაპ., კონსულტაციისა—3 მან. ღარიბებს უფასოდ.

საავადმყოფოს დირექტორი

ექ. ნოვოსარტიანცი.

(თვით საავადმყოფოში დგას).

საავადმყოფოში ამ მოკლე ხანში გაიხსნება წყლით საექიმო განყოფილება ექ. ტელიაფუსის ხელმძღვანელობით.

# განცხადებანი

„ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ მმართველობა უმორჩილესად სთხოვს „საზოგადოების“ წევრთა, როგორც დამფუძნებელთ, ისე ნამდვილთ შემოიტანონ თავიანთ ხვედრი საწევრო ფული წარსულის 1882 წლისა—პირველთ ორ-ორი თუმანი, ხოლო მეორეთ—ექვს-ექვსი მანათი. საწევრო ფულის შემოტანაზე ბარათების (კვიტანციების) მიღება შეიძლება ან საზოგადოების ხაზინადარისაგან ბ. გიორგი დავითის-ძის ქართველიშვილისაგან (მიხეილოვის ქუჩა საკუთარი სახლი), ან საქმის-მწარმოებლისაგან —საზოგადოების სამწერლოში. (მთაწმინდა, ხევის ქუჩა, ფარესაშვილის სახლები, № 9).

# ძიძა

ქართველი ძიძა ეძებს ადგილს. ადრესი: კირპიჩნი ქუჩა, თაქთაქოვის სახლების მახლობლად, იოსებ გოგინაშვილთან იკითხეთ ელისაბედ ქავთარაძისა.

(5—1)

მთაწმიდაში, ზედ მოედანზე, ქირით იძლევა ორ-სართულიანი სახლი ცალცალკე თითო სართული და ორივ ერთადაც; თითო — ოთხ-ოთხი სუფთა ოთახი, თავის ეზოთი, საკუჭნაოთი, სარაით, საჯინიბოთი და ყოველივე მოწყობილებით. ადრესი: მელიქიშვილის სტამბა, ანუ მისივე სახლი სოლოლაკში, „სადოვის ქუჩაზე“ № 43.

გალავინის პროსპექტზე, ანტონოვის სახლებში „ლივადიის“ სასტუმროში, ვაძლევ მებლით, სამოვრით და მოსამსახურით ოთახებს, თვეობით 15 მანეთიდამ 60-დის, დღეობით—ოთხი აბაზიდამ—სამ მანეთამდის.

მიხაილ ხარებავა.

10—5)

ინგლისის

# მაღაზია

*Maison de confiance*

მუხდარეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ.40

— — —1—20 — —1—60

— — —1—40 — —1—80

— — —1—60 — —2— „

— — —1—80 — —2—50

საუკეთესო—2— „ — —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალესები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—50)

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

### სალამური

№ 1.

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.

### საავადმყოფო

### ექიმის პავლოვსკისა

კუკია, მოსტოვაიას და ელისავეტის ქქ. კუთხეში, ადრინდელი სახლები სლინკოსი, ვარანცოვის ძეგლის მახლობ. მუდამ დღე იღებს ავად-მყოფებს: დილით 9—10 საათ.: მ. გ. ლუნკევიჩი თვალის, ვენერიულ და ხირურგიულ ავად-მყ., 10—11½-დის ქალი-ექიმი ა. გ. სამოილოვიჩისა ქალის და ყმაწვილის ავად-მყ., 11½—12½ საათამდის ა. ა. პავლოვსკი, ნერვულ და შინაგან ავად-მყ.; საღამოს: 4—5 საათამდის ე. ს. ბაბოვი შინაგან ავად-მყ., 5—6-დის ა. ა. პავლოვსკი ელექტრო-ტერაპიიდამ. ფასი რჩევისათვის 50 კ. ღარიბთ მუქთად ეძლევათ რჩევანი. ავად-მყოფის სურვილით შესდგება კონსულტაცია. საავად-მყოფოში არის კეფირი.

დირექტორი, ექიმი ა. პავლოვსკი.

(20—7)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

### საყმაწვილო ბაღი

№ 1

საყმაწვილო დრო-გამოშვებითი გამოცემა, გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ. მოსწავლეთათვის 20 კაპ.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება.

### საქართველოს სამოთხე

გამოცემული მიხეილ საბინიმის-მიერ. ფასი ყველგან ჩვიდმეტი მანეთი. გარეშე პირთ შეუძლიანთ მიმართონ ბ. ზაქარია ჭიჭინაძეს, აღნიშნულის ფასით.

ახალი ქართული

# კარაბადინი

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი უდიანის ერთი მანეთი.

### წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემანი:

იგავ-არაკნი, გალექსილნი თ. რ. ერისთავისაგან, სურათებითი გამოცემა მეორე, ფასი ექვსი შაური.

წითელი ფარანი, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ზ. ანდრონიკაშვილისა, ფასი სამი შაური.

ხატაური, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ანასტასია თუმანიშვილისა, ფასი ორი შაური.

ეს წიგნები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში და წიგნების მაღაზიებში. ვინც ნაღდს ფულზედ ერთბაშად იყიდის 15 ეგზემპლიარს რომელსამე წიგნისასა, დაეთმობა 20% ანუ მანეთზედ ერთი აბაზი და მიეცემა: იგავ-არაკი წიგნი 24 კაპ., წითელი ფარანი 12 კაპ. და ხატაური 8 კ. (10—9)

ახალი წიგნი

ისყიდება შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, ბულვარზე

შემოკლებული

საქართველოს

# ისტორია

შედგენილი რომან ცანციევისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

### დედა და შვილი

და

### რამდენიმე ლექსი

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

### მამულის

### საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

# სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნად

# „ციკო“

მოთხრობა

ა. მოჩხუბარიძისა (უაზბეგისა)

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

ისყიდება ტფილისში „დროების“ რედაქციაში და შავერდოვის პავილიონში ალექსანდროვის ბაღთან. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის, ვინც პირ-და-პირ „დროების“ რედაქციიდგან წაიღებს, ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპ. (20—19)

### ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფად სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანაჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხათვანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა.

(100—42)

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება: ქართველი კლასიკები

№ 1

### ჩახრუხაძე

შემოკლებულის ბიოგრაფიით.

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 20 კაპ.

### ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებით 1 მარტიდამ 1 აპრილამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| **იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| **ჯვარის-მამის პური:** | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 5½ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |
| **ძროხის ხორცი:** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 17 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 11 კ. |
| **ღორის ხორცი:** | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Марта 1883 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.